საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოკლე გზამკვლევი

საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო

2020 წელი
www.mof.ge

სარჩევი

რას მოიცავს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში? 3

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 5

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 6

2019 წელს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა .7

სამინისტროების შესრულების მაჩვენებლები 8

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოკლე გზამკვლევი მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
საბიუჯეტო დეპარტამენტის მიერ

რას მოიცავს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში?

საბიუჯეტო პროცესი საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია. **საბიუჯეტო პროცესი** არის საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც **მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.** სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისთვის პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმები, რომლებსაც მხარჯავი დაწესებულებები საქართველოს ფინანსთა სამინსიტროს წარუდგენენ მათი ბიუჯეტის 3, 6 და 9 თვის შესრულების საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 15 დღის, ხოლო წლიური შესრულების ანგარიშს – წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 2 თვის ვადაში.

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- **თავი I** - საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები;
- **თავი II** - 2019 წლის მაკროეკონომიკური მიმოხილვა;
- **თავი III** - სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები;
- **თავი IV** - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება;

- **თავი V** - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები;
- **თავი VI** - 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
- **თავი VII** - საქართველოს 2019 წლის ცენტრალური ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები და სსიპ/ა(ა)იპ-ის კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები/გადასახდელები;
- ზოგადი ინფორმაცია 2019 წელს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის და ბიუჯეტის შესრულების შესახებ;
- „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის №111 განკარგულებით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ;
- ინფორმაცია 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ;
- ინფორმაცია 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული კაპიტალური პროექტების შესრულების შესახებ;
- ინფორმაცია სახელმწიფო ვალის შესახებ;
- ინფორმაცია საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან წინა პერიოდის დავალიანების დაფარვასთან/ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში;
- საინვესტიციო პროექტების შესრულება - პირდაპირი ჩარიცხვები;
- 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი საივესტიციო პროექტები;
- მიზნობრივი გრანტები;
- სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი.

აღნიშნული ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე - www.mof.ge[1]

[1] **https://www.mof.ge/5235**

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2019 წლის განმავლობაში „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება შეტანილი იქნა ერთხელ. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები თავდაპირველ ბიუჯეტთან შედარებით **გაიზარდა 223 115.0 ათასი ლარით და განისაზღვრა 13 313 115.0 ათასი ლარით.** საანგარიშო პერიოდის საკასო **შესრულებამ შეადგინა 13 469 689.0 ათასი ლარი,** რაც გეგმიური მაჩვენებლის **101.2%-ია.**



„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის **ხარჯები განისაზღვრა 9 999 052.9 ათასი ლარით.** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **9 944 658.2 ათასი ლარი,** რაც წლიური დამტკიცებული **შესაბამისი მაჩვენებლის 99.5%-ია.** გაწეულმა **საკასო ხარჯმა შეადგინა 9 975 521.8 ათასი ლარი,** რაც გეგმიური მაჩვენებლის **100.3%-ია.**

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები **გეგმა**	**9 944 658,2** ათასი ₾
2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები **ფაქტი**	**9 975 521,8** ათასი ₾
შესრულება	**100,3%**

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **10 540 400.0 ათასი ლარით,** საანგარიშო პერიოდში **მობილიზებულ 10 675 037.7 ათასი ლარი,** ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის **101.3%.**

	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**10,540,400.0**	**10,675,037.7**	**134,637.7**	**101.3**
გადასახადები	9,645,000.0	9,665,567.7	20,567.7	100.2
გრანტები	390,400.0	489,635.3	99,235.3	125.4
სხვა შემოსავლები	505,000.0	519,834.8	14,834.8	102.9

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი **განისაზღვრა 9 645 000.0 ათასი ლარით,** საანგარიშო პერიოდში **მობილიზებულ იქნა 9 665 567.7 ათასი ლარი,** ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის **100.2%.**

	გეგმა	ფაქტი	+/-	%
გადასახადები	**9,645,000.0**	**9,665,567.7**	**20,567.7**	**100.2**
საშემოსავლო გადასახადი	3,150,000.0	3,200,254.7	50,254.7	101.6
მოგების გადასახადი	855,000.0	866,288.9	11,288.9	101.3
დღგ	4,071,000.0	4,243,606.7	172,606.7	104.2
აქციზი	1,287,000.0	1,506,675.8	219,675.8	117.1
იმპორტის გადასახადი	75,000.0	79,073.8	4,073.8	105.4
სხვა გადასახადი	207,000.0	-230,332.3	-437,332.3	-111.3

2019 წელს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა

2019 წელს, **მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ წინა წელთან შედარებით 5.1% შეადგინა.** პირველ კვარტალში - 5.0%, მეორე კვარტალში - 4.6%, მესამე კვარტალში - 5.8%, ხოლო მეოთხე კვარტალში - 5.1%. 2019 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი **ნომინალურ გამოსახულებაში 50 002.2 მლნ ლარით განისაზღვრა,** რაც 12.1 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ხოლო **მშპ ერთ სულ მოსახლეზე 13 428.9 ლარს** (4 763.5 აშშ დოლარი) შეადგენს.

2019 წელს **წლიური ინფლაციის დონე 7.0%-ით განისაზღვრა.** ამავე პერიოდისათვის, **საშუალო ინფლაცია 4.9% - ის დონეზეა.**

2019 წელს საქართველოში საქონლით **საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 12 831.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა,** რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2.7 პროცენტით მეტია; აქედან **ექსპორტი 3 765.4 მლნ აშშ დოლარს შეადგენს** (12.2 პროცენტით მეტი), ხოლო **იმპორტი 9 065.5 მლნ აშშ დოლარს** (0.8 პროცენტით ნაკლები).

2019 წელს, საქართველოს **9 358 ათასი ვიზიტორი** ეწვია (2018 წლის მონაცემებით, ვიზიტორების რაოდენობა 8 680 ათასს შეადგენდა), რაც გასული წლის **ანალოგიურ მონაცემს 7.8% - ით აღემატება.**

2019 წლის ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტმა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კლასიფიკაციის თანახმად (GFSM 2014) **მშპ-თან მიმართებაში 2.7% შეადგინა,** ხოლო „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულმა **სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტმა 2.59%** შეადგინა. (ორგანული კანონის თანახმად განსაზღვრული ლიმიტი მშპ-ის 3%).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით **საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 20 622.7 მლნ ლარი,** მათ შორის: სახელმწიფო **საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 4 159.2 მლნ ლარს,** ხოლო სახელმწიფო **საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 16 463.5 მლნ ლარს.** 2019 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის **ვალის ზღვრულმა მოცულობამ შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 39.8%-ით** (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 60%).

სამინისტროების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

	2019 წლის დამტკიცებული გეგმა	2019 წლის დაზუსტებული გეგმა	2019 წლის ფაქტი
ფინანსთა სამინისტრო	91 000,0	91 000,0	86 059,0
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	253 050,0	249 703,8	260 409,4
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2 000 000,0	2 013 960,1	2 121 193,2
იუსტიციის სამინისტრო	191 130,0	213 895,4	216 832,9
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3 978 400,0	4 013 400,0	4 055 432,2
საგარეო საქმეთა სამინისტრო	143 500,0	147 931,4	148 256,7
თავდაცვის სამინისტრო	835 000,0	835 459,7	822 882,7
შინაგან საქმეთა სამინისტრო	766 600,0	771 600,0	774 400,3
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	340 100,0	347 890,0	358 044,8
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	1 639 500,0	1 636 066,4	1 650 104,1

საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით 2019 წლის იანვრიდან პენსიის ოდნეობა გაიზარდა და შეადგინა 200 ლარი, შესაბამისად, გადაანგარიშდა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა. სულ საანგარიშო პერიოდში მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით გადარიცხულ იქნა **1 938.2 მლნ ლარი;**

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების **სოციალური დახმარებების გასაცემად** საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ **738.8 მლნ ლარი;**

ანაზღაურებულია მაღალმთიან დასახლებებში არსებული აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის 50%. სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა **52.8 მლნ ლარი;**

„მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა **824.9 მლნ ლარი;**

სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 7 895 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 1 558 ოჯახს საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 50-დან 300 ლარამდე);

მიმდინარეობდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომლის ფარგლებშიც კერძო საკუთრებაში **ბინა გადაეცა 812 ოჯახს,** თბილისსა

და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში **შეძენილ იქნა 1 050 საცხოვრებელი სახლი;**

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 2019 წლის 1 იანვრიდან საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სქემა ამოქმედდა. მიმდინარე წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სქემაში რეგისტრირებულ მონაწილეთა ოდენობამ 960.4 ათასი შეადგინა;

ქვეყნის მასშტაბით არსებული 2 ათასზე მეტი საჯარო და ორასზე მეტი კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა **710.4 მლნ ლარი;**

ინკლუზიური განათლების დასაფინანსებლად მიიმართა **19.1 მლნ ლარი;**

საზოგადოებრივი/პროფესიული და პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფილნი იქნენ დაფინანსებით, ამ მიზნით მიიმართა **41.2 მლნ ლარი;**

სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების დაფინანსებისა და ახალგაზრდების წახალისების მიზნით მიმართულ იქნა **125.5 მლნ ლარზე მეტი;**

სპორტის 50-მდე სახეობაში დაფინანსდა 349 ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი, 502 სასწავლო - საწვრთნელი შეკრება, მონაწილეობა იქნა მიღებული

434 საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობაში. ქართველმა სპორტსმენებმა საერთაშორისო ასპარეზზე მოიპოვეს 448 ოქროს, 356 ვერცხლის და 418 ბრინჯაოს მედალი;

საქართველომ უმასპინძლა მნიშვნელოვან საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებს: ძიუდოს თბილისის გრან-პრი; ძალოსნობის ევროპის ჩემპიონატი; წყალბურთის 17 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი; ჭიდაობის მსოფლიო ჩემპიონატი ვეტერანებს შორის; ჭადრაკის ევროპის გუნდური ჩემპიონატი; კრივში დ. კვაჭაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი; მასობრივი სპორტული ღონისძიება „მსოფლიო რბენა“ (Wings For Life) და სხვა;

სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების დაფინანსების, საირიგაციო და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესების მიზნით მიიმართა **83.6 მლნ ლარი;**

„შეღავათიანი აგროკრედიტების“ პროექტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში **გაცემულია 6 076 სესხი 432.9 მლნ ლარის** ოდენობით. სულ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსების თანხამ შეადგინა **71.3 მლნ ლარი;**

„დანერგე მომავალის“ პროექტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დამტკიცებულია დაახლოებით 2 099 ჰა-ზე გასაშენებელი 303 ბაღის პროექტი. აღნიშნულის დაფინანსების მიზნით მიიმართა **15.6 მლნ ლარი;**

დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 1 199 ათასი ვიზიტორი, მათ შორის 612.0 ათასი უცხოელი, რაც 16%-ით აღემატება 2018 წლის შესაბამის მაჩვენებელს;

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეწვია 9 358.0 ათასი საერთაშორისო მოგზაური, რაც 2018 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 7.8%-ით;

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯულ იქნა **1 387.7 მლნ ლარი;**



სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულებები 144 ბენეფიციარ კომპანიასთან კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსებაზე, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა აღემატება 288 მლნ ლარს, ხოლო კომერციული ბანკების და სალიზინგო კომპანიების მიერ დამტკიცებული სესხების ჯამური **მოცულობა - 166 მლნ ლარს;**

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დახარჯულ იქნა **360.8 მლნ ლარი;**

2019 წლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 53 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 2,340,000.0 ათასი ლარის მოცულობით, აქედან 2, 5 და 10 წლის ვადის მქონე სახაზინო ობლიგაციები

ემიტირებული 1,410,000.0 ათასი ლარის ოდენობით სრულად წარმოადგენს ე. წ. „ბენჩმარკ ბონდებს“;

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 19 პოლიტიკური პარტია;

ჩატარდა 2019 წლის 19 მაისის შუალედური/რიგგარეშე და 27 ოქტომბრის საკრებულოების შუალედური არჩევნები. სულ არჩევნებზე მიიმართა **4.7 მლნ ლარამდე;**

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 123 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა **158.6 ათასი ლარი.**